

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №1

დაბა ქედა

02 ივნისი, 2021 წელი

სხდომა დაიწყო 16:30 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 16:50 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: რეზო თურმანიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

როსტომ შერვაშიძე - კომისიის წევრი
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
კარლო თურმანიძე - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა:






გენადი არძენაძე - კომისიის წევრი;
ბაქარ ბარამიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების
უფროსი - ზაზა დავითაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

02.06.2021 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	რეზო თურმანიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	კარლო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ბაქარ ბარამიძე	კომისიის წევრი	
4	როსტომ შერვაშიძე	კომისიის წევრი	
5	გენადი არძენაძე	კომისიის წევრი	
6	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 31 მაისს №12 განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე. განკარგულების შესაბამისად დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებების წარდგენის ვადად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში განისაზღვრა 2021 წლის 01 ივნისი დღის 18 საათამდე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან კომისიაში შენიშვნები არ შემოსულა მიზანშეწონილია საკითხი დასამტკიცებლად გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე:



რეზო თურმანიძე